ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4523118

ნომერი: AR1676792

თარიღი : 24.04.2019

გაცემის თარიღი : 30.05.2019

გაცნობის თარიღი : 30.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 28 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზალდასტანიშვილი (ყოფ. ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი), N 26 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჯამაგიძე პ/ნ 01025015719
- თბილისი, ვაშლიჯვარი 2 ზონა კორ 2 ბ. 48

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის №4220846 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 განცხადებით მომართა ლევან ჯამაგიძემ. განმცხადებელმა მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის №4220846 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის №4220846 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, 08 მარტის ქუჩა N38; 08 მარტის ქუჩა N28; ზალდასტანიშვილის (ყოფ.ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი) ქუჩა N26; 08 მარტის ქუჩა N38-ის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.15.05.004.092), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 18 ოქტომბრიდან 2020 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის №4220846 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ მიუთითებს, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების დროს გეგმებზე სარეგისტრაციო ფართებთან ერთად დატანილი იყო ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობის ფართები, აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმები დაემატოს საპროექტო დოკუმენტაციას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების მითითება, სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ 2018 წლის 17 ოქტომბრის №4220846 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ემთხვევა 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 განცხადებაზე წარმოდგენილ გეგმებზე დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 განცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ლევან ჯამაგიძის 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 განცხადება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის №4220846 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებს დაემატოს 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმები.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №AR1676792 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.